ცნობის ფურცელი

№ 2062 პარასკევი, 7 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2062

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქვრივი კნ. სოფიო ერასტის ასული მხეიძისა უგულითადესს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც კეთილ-ინება და მწუხარება გამოუცხადა ძვირფასის მეუღლის გარდაცვალებისა გამო. (1—1)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კელენის სისტემისა
„იდეალ"
სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაქაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—4)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. კალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—64)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ზედეგანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:
გ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.
გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.
ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.
დ. ა. ზედეგანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.
ა. ბ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.
ზ. გ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.
პრ. გ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
საღამოთი:
ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).
მასაჟი და სვედიშ გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კროვატები—სამი მანათიდამ ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

სია
„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 28—31 იანვ. და 1—3 თებ. განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
1	დეკ. ნესტორ ყუბანეიშვილი.	6	—
2	მღ. ირაკლი ბაკურაძე . . .	6	—
3	კორნელი ლ. მაღრაძე . . .	6	—
4	ნიკ. ვ. მესხი	3	—
5	ივანე გ. გიორგაძე	3	—
6	რაჟდ. ის. კანდელაკი . . .	6	—
7	ნიკ. ოქრომჭედლიშვილი. .	6	—
8	ბაგრატ ვირსალაძე	7	—
		42	—

საკონდიტერო
„MARIE"
ქართველ ქალთა ამხანაგობის მიერ გაიხსნა 28 იანვარს სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლში (სოლოლაკში). მასთანვე არის მშვენივრად მოწყობილი „Cafe". (10—2)

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

წარმოდგენა მე-36. ტელეფონი 617
✦ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✦
ქართული თეატრი
კვირას, 9 თებერვალს, 1903 წელს.
დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
✦ დაკლებულის ფასებით ✦
დილის 12 საათზე
პეპო
კომ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი.
ადგილების ფასი დაკლებულია
დასაწყისი დილის 12 საათზე.
მზადდება წარმოსადგენად ვ. გუნიას საბენეფისოდ 13 თებერვალს ორი ახალი პიესა: **„დარღვეული ბინა" და „სიძე სიმამრი"**).
რეჟისორი **ვალ. გუნია.**

„კვალი"-ს საპოლემიკო ნიმუშები

—

შავი-ქვის მრეწველთა კრების გამო ატეხილი პოლემიკა "კვალმა", როგორც მოსალოდნელი იყო, თავისებურად გამოიყენა.

ჩვენს გაზეთს შავი-ქვის მრეწველთა საქმე აინტერესებს იმდენად, რამდენად ამ საქმეს საზოგადო მნიშვნელობა და ინტერესი აქვს. არც ჩვენ გვაქვს დამოკიდებულება მრეწველობასთან და არავითარი პირადი ინტერესი არა გვაქვს ამ საქმეში. ჩვენი ინტერესია, მრეწველობა, რომელიც დღეს ქართველთა ხელშია, მათვე დარჩეს და მოუტანოს ქვეყანას ის სარგებლობა, რომლის მოტანა შეუძლია; ჩვენ გვინდა, ამ საქმის სათავეში მყოფთ კარგად წაიყვანონ საქმე, შეაკავშირონ მრეწველნი, გაალონიერონ ისინი იმდენად, რომ უცხოელების ლუკმად არ გადიქცეს ეს წარმოებაც. ამასთანავე ჩვენი სურვილია, რომ მუშა-ხალხი, რომელსაც ეს მრეწველობა თავს უყრის, ხეირიან პირობებში მუშაობდეს, რათა შეძლება ჰქონდეს თავის თვითცნობიერების განვითარებისა.

ჩვენის აზრით, საქმის დღევანდელი ხელმძღვანელნი ჯერ-ჯერობით წესიერადა და ხეირიანად უძღვებიან მრეწველობას და, თუ რამ შეცდომები ჩაიდინეს, გაასწორებენ; მათ გამოცვლას-კი აზრი არა აქვს, რადგან უკეთესის პროგრამის კანდიდატი არ არის და დღევანდელს პირობებში საქმე, ვიმეორებთ, რიგიანად მიდის. ამიტომ ჩვენ გავკიცხეთ კვალელთა ოპოზიცია, რადგან ისინი მიემხრნენ ემერიკსა და კალისტრატეს და ამ მიკედლებით ხელი შეუწყვეს იმ ელემენტს, რომელსაც საზოგადო საქმე არაფრად მიაჩნია და უფრო კერძო ინტერესებს ემსახურება. ამ მიკედლებამ, როგორც აღვნიშნეთ, ცუდი სამსახური გაუწია კვალელთ, რადგან დაბნელა მათი საკუთარი სურვილი და განზრახვანი; ხოლო მათმა ტაქტიკამ იქამდისაც-კი მიიყვანა, რომ ათქმევია — თვითმართველობა ნურც იქნება, თუ ამისთანა იქნებაო.

აი, მთავარი ბრალდება კვალელებისა, რომელიც ჩვენ გამოვთქვით. კვალელების ამ საქციელს ჩვენ ვხსნიდით და ვხსნით ახლაც მათმიერ საქმის გარემოებათა უცოდინარობით და იმ გაუგებარის პირადის სიძულვილით, რომელსაც ისინი გრძნობენ ბ. ზდანოვიჩისადმი. ამ პირადმა სიძულვილმა მეტად შორს გაიტაცა ისინი და შეცდომები ჩაადენინა, როგორც წინა კრებაზე, ისე ახლაც. ჩვენ ფიქრადაც არ მოგვსვლია კვალელებისათვის კერძო ინტერესებით ხელმძღვანელობა დაგვებრალებია, მიდგომა და ნათელ-მირონობა შეგვეწამებია; ფიქრადაც არ მოგვსვლია, რადგან ღრმად პატივისცემა გვაქვს რიგიანის ბეჭდვითი სიტყვისა და გარდა ამისა გვწამს ამ დასის გულწრფელობა. ჩვენ ვფიქრობთ მხოლოდ, რომ ისინი ამ საქმეში სცდებიან და გვსურდა აგვეხსნა მათთვის და საზოგადოებისათვისაც მათი შეცდომა.

საუბედუროდ, ჩვენი მოკამათენი სულ სხვა ჯურისა, სხვა ფსიხოლოგიის ხალხია! ისინი ყოველთვის ცდილობენ სხვისი აზრი და მოქმედება ცუდის განზრახვით ახსნან, თუ სხვისა აზრი ან მოქმედება მათ წინააღმდეგ არის მიმართული. მათის აზრით, მოკამათის ზნეობრივი დამცირება საუკეთესო იარაღია სიმართლის გამოსარკვევად. ამიტომ სირცხვილს უკუაგდებენ ხოლმე და თავის მოწინააღმდეგე გაზეთს მიახლიან: განა ეს გაზეთი საზოგადო საქმეს ემსახურებაო!.. ასეთი არა საკადრისი შეურაცხყოფა თავისის მოპირდაპირისა, სამწუხაროდ, კვალელთ ჩვეულებად აქვთ გადაქცეული. ჩვენ ვიწვევთ მათ ჩაუფიქრდნენ და გაიგონ, რომ მოპირდაპირის აზრისა და მოქმედების ცუდ განზრახვით ახსნა, მათთვის ანგარების დაწამება, საკადრისი არ არის რიგიან ორგანოსათვის, ხოლო ბოლოს და ბოლოს მკითხველ საზოგადოებასაც აფიქრებინებს, რომ თვით არ უნდა იყოს წმინდა ის, ვისაც სხვა ყველა ცუდ განზრახვებითა და ანგარულ მისწრაფებით გაჟღენთილი ჰგონია...

მეორე თვისება „კვალი"-ს პოლემიკისა ამაზე უფრო რიგიანი არ არის. როგორც მოგეხსენებათ, ამ გაზეთმა თავისს უცილობელ მონოპოლიად გაიხადა ხალხის ინტერესების დაცვა, ხალხის მეგობრობა. „კვალი-"ა ერთად ერთი სპეტაკი და პირუთვნელი მეგობარი ხალხისაო! ეს რწმენა მაინცა-და-მაინც დანაშაულობად არ ჩამოერთმევა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ „კვალს" აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ვინც მას ამა თუ იმ უბრალო პრაქტიკულ საქმეშიაც არ ეთანხმება, ის უთუოდ ხალხის მტერია, ფარისეველი და ხალხის მოღალატე. რა-კი ამ დასკვნას დაადგა, არ შეიძლება ყოველ შემთხვევის დროს ხალხთან დაბეზღებას არ მიჰმართოს ხოლმე. ასე მოიქცა, მაგალითად, ახლაც. ჩვენი გაზეთი არ დაეთანხმა „კვალს" შავი-ქვის მრეწველთა საქმეში და „კვალმა", არც აცივა, არც აცხელა, და გამოაცხადა: დროა გაიგოთ, რომ „ცნ. ფ". ფარისევლობსო, ნამდვილად-კი ხალხის მტერიაო! რატომ? რა საბუთის ძალით? საბუთი რა საჭიროა: საკმარისია, რომ „ცნ. ფ". კვალელთ არ ეთანხმება; ვინც „კვალთან" არ არის ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში, ის ხალხის მტერია! აი „ხელის-ხელ საგოგმანებელი სილოგიზმი, რომელსაც რუსები „სუზდალსკაია კრიტიკას" უწოდებენ: „либо руку пожалуйте, либо въ зубы дамъ". ვარწმუნებთ „კვალის" პუბლიცისტთ, ასეთის ოინით შორს ვერ წავლენ... გარდა იმისა, რომ ეს მანერა საკადრისი არ არის, მოხდება ისეც, რომ თვით გაზეთი ჩავარდება უხერხულ მდგომარეობაში; მაგალითად ისე, როგორც ახლა მოხდა: შავი-ქვის მრეწველთა საქმეში „კვალი" ერთ ბანაკში მოჰყვა „ჩერნომ. ვესტნ"-თანა და „ტფ. ლისტოკ"-თან; სამი კვირის განმავლობაში ეს ორი გაზეთი იმასვე სწერდა და ამბობდა, რასაც „კვალი"; პალმის გაზეთი მჭერმეტყველურად მოსარჩლეობდა „დაჩაგრულ ხალხს". კვალელ პუბლიცისტების ლოლიკით გამოვა, რომ ხსენებული გაზეთები ხალხის ნამდვილი მეგობრები არიან, რა-კი შავი-ქვის მრეწველთა საქმეში „კვალის" თანამოაზრენი იყვნენ!... შეუდარეთ ამას „კვალის" პუბლიცისტის მოსაზრებანი ჟორეს-მილიერანის „კომპრომისის" შესახებ და თქვენ მიიღებთ საოცარ გაუგებრობის, აზრთა არევ-დარევის, მტერმეგობრის გაურჩევლობის ნიმუშს!...

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მეტად სამწუხარო მანერა „კვალის" პუბლიცისტების პოლემიკისა. მართალი უნდა ვსთქვათ, ეს მანერა წინადაც უხმარიათ კვალელთ, მაგრამ ისე ურცხვად არასოდეს, როგორც ახლა ბ. თოფურიძემ იხმარა,—იმ თოფურიძემ, რომელიც სრულიად უსაბუთოდ ჩვენვე გვისაყვედურებს ინსინუაციებისა და ტყუილების თქმას. ეს მანერაა—მოპირდაპირის აზრის გადამახინჯება, ისეთი გადამახინჯება, რომ გაოცებული ეკითხება თავის თავს და ვერ გაგიგია: განგებ არის ეს ჩადენილი, თუ მართლა კითხვა არ იცის შენმა მოკამათემ! საოცარი ნიმუში ასეთის გადამახინჯებისა ჩვენ ვიპოვეთ ბ. თოფურიძის უკანასკნელ წერილში.

შავი-ქვის მრეწველთა კრების შესახებ ერთ-ერთ წერილში ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ჭიათურის მუშათა მეტის მეტი ცუდი მდგომარეობა იმითაც აიხსნება, რომ ეს მრეწველობა წვრილია; წვრილ მრეწველობას თან სდევს ბევრი ნაკლი, სხვათა შორის ის, რომ თანხის ნაკლებობის გამო წვრილ მრეწველთ არ შეუძლიათ ტეხნიკის გაუმჯობესება, წარმოების ხარჯის შემცირება, ხოლო ეს იწვევს მუშათა გადამეტებულს ექსპლოატაციას. ამიტომ, ვამბობდით ჩვენ, საჭიროა

მრეწველთა შეერთება, რადგან ამას მოჰყვება თანხის გაძლიერება, ტეხნიკის გაუმჯობესება, წარმოების ხარჯის შემცირება და ამასთან ერთად მუშების მდგომარეობის შედარებითი გაუმჯობესებაც. აი, ეს იყო ჩვენი აზრი. მოპირდაპირეს შეეძლო აღენიშნა ჩვენი შეცდომა, მაგრამ აზრი სწორედ უნდა გადაეცა მკითხველისათვის. ბ. თოფურიძე-კი სრულიად სხვა რიგად მოიქცა და თქვენ თვითონ გასინჯეთ, როგორც სინიდისიერად მოიქცა: მან ამოიწერა ერთი ფრაზა: „წვრილმა მრეწველმა... უნდა.-. უმეტოს მუშათა ყოველგვარ ექსპლოატაციას“ და ამ ფრაზას თავის მხრით შემდეგი დაუმატა: „ეს მას (ე. ი. „ცნ. ფურცელს“) **სასურველად** *) მიაჩნია და, ვინც წინააღმდეგია, იმას მამულის მტერს უწოდებს“. ჩვენ აღვნიშნეთ ფაქტი, რომ წვრილ მრეწველობაში მუშებს მეტი შევიწროება აქვთ, ბ. თოფურიძე-კი წარბ-შეუხრელად დასძენს ამას, რომ ეს ჩვენ სასურველადაც მიგვაჩნია! გამოტეხილი უნდა ვთქვათ, ასეთს უსირცხვოობას არ შევხვედრივართ რიგიანს ორგანოში და, თუ ბ. თოფურიძემ ეს განზრახ ჩაიდინა, ვწინასწარმეტყველობთ, ეს ვაჟ-ბატონი შორს წავა და გაუსწრებს კიდეც იმ ღვირ-აშვებულ ფელეტონისტებს, რომელთაც არც loi, არც foi არა აქვთ და უსირცხვოდ დათარეშობენ ლიტერატურაში.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. „პტი პარიზიენ“-ი იუწყება: ჟორესმა მოითხოვა, დრეიფუსის საქმის გამოსაკვლევად საპარლამენტო კომისია დაინიშნოს 33 კაცისაგანაო.

◆ ცნობილმა სოციალისტმა დეპუტატმა და ჟურნალისტმა პრესანსემ ლიონში ნადიმის დროს მოკლე სიტყვა წარმოსთქვა დრეიფუსის საქმის თაობაზე. ორატორმა სთქვა: „სამართლისთვის ბრძოლა დავიწყეთ და ჩვენი საწადელი კი ვერ შევასრულეთ. ამის მიზეზი უბედური პოლიტიკა იყო. დრეიფუსის საქმე დროებით თითქო დავივიწყეთ კიდეც; მართალია დამნაშავეთა პატიების ნება მივეცით მთავრობას, მაგრამ ერთს წამსაც არ დაგვიკარგავს იმედი, რომ ბოლოს სიმართლეს სავსებით გამოვააშკარავებთ. ჩვენ გვინდა, ყველასათვის სამართალი გამოვიტანოთ, უსამართლობის მსხვერპლნი ყველანი გავანთავისუფლოდ. ეხლა დროა, განუწყვეტელ ცილისწამებას ბოლო მოვუღოთ, ხუთს წელიწადს ვიბრძოდით ერთად, წინანდებურად მტკიცედა და მეგობრულად ვუჭერთ ერთმანეთს მხარსა და აი ეხლა ვხედავთ, რომ ჩვენ მომხრეთა რიცხვმა იმატა. გვინდა ძველი ფაქტები ხელმეორედ გაისინჯოს, რომ სრული სიმართლე გამოვააშკარაოთ; სიმართლეს ფარდები ჩამოაფარეს. უნდათ ამით სიმართლე დამალონ და ჩვენც ხელი შეგვიშალონ, მაგრამ ამ ფარდებს სულ ერთიანად ჩამოვგლეჯთ. რაც გადაწყვეტილი გვაქვს, უსათუოდ ავასრულებთ“.

საზოგადოებამ ძლიერი ოვაცია გაუმართა პრესანსესა და პოლკოვნიკ პიკარს. პიკარიც დაესწრო ნადიმს და სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებაზე.

◆ მკითხველს ეხსომება, მონპელიეში ალჟირელ არაბების დიდი პროცესი ირჩეოდა. ამ არაბებს აჯანყება და რამდენიმე ფრანგის მოკვლა ჰბრალდებოდათ. დეპეშიდან მკითხველს ისიც ეცოდინება, რომ ბრალდებულთა მომეტებული ნაწილი სასამართლომ გაამართლა. სასამართლოს ღმობიერ განაჩენს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საფრანგეთსა და ალჟირში. ალჟირელი კოლონისტი ფრანგები ძლიერ აუღელვებია ამ განაჩენს. ალჟირის ყავახანებში ყველგან დიდი შფოთი და აყალ-მაყალი ასტყდა. ევროპიელთაგანი ბევრნი ჰყვირიან, არაბები ცოფიან ძაღლებივით უნდა დავხოცოთო. საფრანგეთში კი საზოგადოებამ, პირიქით, თანაგრძნობით მიიღო ეს განაჩენი. ცნობილი ჟურნალისტი კორნელი გაზ. „სიეკლ“-ში სწერს:

ნაფიც-მოსამართლე ფრანგებს უთხრეს: შეჰხედეთ ამ არაბებს—კაცები დაჰხოცეს, მართალია, მაგრამ ამათში 300 კაცს ათასი ჰექტარი მამული ჰქონდათ: ეს საკუთრება ჩამოართვეს, 900 ფრანკი არც კი მისცეს, ესე იგი, კაცის თავს 3 ფრანკზე ნაკლები, და მამულიდან აჰყარეს. რას იქმოდით ნაფიც მოსამართლეების ადგილას! მოსამართლეებმაც შეიბრალეს უკანასკნელ დღეში ჩაცვივნულნი არაბები და გაამართლეს. ეს გაკვეთილი ყველას უნდა ახსოვდეს“.

გაზეთები იუწყებიან: პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ, თუ გვინდა იმ საზიზღარ წესებს, რაც მონპელიეს პროცესის დროს გამოირკვა, ბოლო მოეღოს, ყველა არაბებს საარჩევნო უფლება უნდა მივანიჭოთო.

ოსმალეთი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ატყობინებენ: ხმა დადის, მაკედონიის კომიტეტის უკიდურეს ფრაქციის მეთაური ბორის სარაფოვი მაკედონიას წავიდაო. გაზაფხულზე მაკედონიაში აჯანყება დაიწყება და სარაფოვის მიმდევარებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ აჯანყებაში. მაკედონიის კომიტეტის აგენტები ამ ჟამად რუმინიაში ძველ თოფებს ჰყიდულობენ და ბოლგარიის ნავთსადგურებში მდ. დუნაიაზე გაჰგზავნიან კონტრაბანდითაო.

შეერთებული შტატები. ტრესტების წინააღმდეგ შედგენილი კანონ-პროექტი პალატამ დაამტკიცა და 22 იანვარს სენატს გადაეცა. ჯერ სენატის სამოსამართლო კომიტეტი გაჰსინჯავს ამ კანონ-პროექტს. სენატში ტრესტების თაობაზე სხვა კანონპროექტიცაა წარდგენილი და კომიტეტი პალატისაგან დამტკიცებულ კანონ-პროექტთან ერთად ამ პროექტსაც განიხილავს.

◆ გუშინ მოხსენებული გვქონდა, ნავთის ტრესტის მეთაურმა როკფელერმა დეპეშა გაუგზავნა სენატორებს და სთხოვა, ტრესტების წინააღმდეგ კანონ-პროექტი გააჩერეთო. ეს დეპეშა ყველაზე წინ გაზ. „ასოციატიდ პრეს“-მა დაჰბეჭდა და მერე სხვა გაზეთებმაც გადაჰბეჭდეს. ამ დეპეშამ მთელი ამერიკა აღელვა თურმე.

გაზეთებმა იმ სენატორების გვარები გამოაცხადეს, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა უარი სთქვეს, როკფელერისაგან მაგისთანა დეპეშა სულ არ მიგვიღიაო; თითონ როკფელერსაც ჰკითხეს, მართალი ხმაა ეგაო, მაგრამ როკფელერმა გადაჭრით არა თქვა რა. ამიტომ თითქმის ყველას სჯერა „ასოციატიდ პრეს“-ის ცნობა. მართალია, ერთმა გაზეთმა ხმა გაავდო, დეპეშები თითონ რუზველტმა მოიგონა და გაავრცელა იმ აზრით, კონგრესში ტრესტის წინააღმდეგ კანონის დამტკიცება გააადვილოსო, მაგრამ მცოდნე წრეები ამ ხმას არაფერ მნიშვნელობას არ აძლევენ.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნატორმა ცნობა მიიღო, რომ კავკასიის მთავარ მართებელმა **არ დაამტკიცა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი** ქალაქის მოურავის თანამდებობაზეო.

◆ ფინანსთა სამინისტროს ჩვენი ქვეყნის სახაზინო პალატებისაგან მოუთხოვნია ცნობები—რა მდგომარეობაშია **ნადელის გამოსყიდვის** საქმე გლეხობაში და რა მიზეზები აძნელებს ამ საქმესო.

◆ დღეს, 7 თებერვალს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება განიხილავს ორ მოხსენებას ინჟ. თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისას—**გაზეთის რკინის გზის შესახებ** და ა. შან-გირეისას—ამიერ-კავკასიაში სარწყავ საქმის გაუმჯობესების შესახებ.

◆ **ხაშურ ყარაიაზიდან გვატყობინებენ:** 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე 240 ვერსზე, საფოსტო მატარებელი № 72 ლიანდაგიდან გადავარდა. ორი ვაგონის გარდა ყველა გადასცდა ლიანდაგს. ხალხს უბედურება არა შემთხვევია რა და არც ვაგონები დაზიანებულა. მიზეზი მატარებლის ლიანდაგიდან გადაცდენისა ვერ გაიგეს.

◆ 23 თებერვალს **განჯაში ქართული საღამო** გაიმართება; შემოსავალი „ქართვ. შორის წერა-კითხვის საზოგადოებას გადაეგზავნება. საღამოს მოთავედ ბ. ი. აბულაძისა იქმნება. რადგან მეათე წელიწადი სრულდება, რაც განჯაში „ქართული საღამოები“ იმართება, ყველა იმასა ცდილობს თურმე, 23 თებერვლის საღამომ ძლიერ კარგად ჩაიაროს.

◆ **ხაზინის მდივნად** ახლად არჩეული სტ. ქრელაშვილი ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

◆ **ხორცის დუქნების გამგე** კიდევ სთხოვს ნიხრის დამწესებელ კომისიას, უთუოდ დაჰკალით საცდელად ცხვარი და ნიხრი შეიმუშავეთ, თორემ ამ ჟამად ცხვარი ძლიერ ცოტა შემოდის ქალაქში და 12 კაპ. ნაკლებ გირვანქა ცხვრის ხორცი არ იყიდებაო.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ: ქალაქ სევასტოპოლის გამგეობას ცნობები გამოუგზავნია ტფილისის გამგეობისათვის იქაურ ხორცის დუქნების შესახებ: იქაური დუქნები ნიხრზე 12% ნაკლებ ჰყიდიან თურმე ხორცს. ალბად, აქაც სხვა მიზეზია..

◆ მიხეილის საავადმყოფოს უფროსი სთხოვს გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, პოლიციელებმა და მეეზოვეებმა მოჰსპონ **ავადმყოფების საავადმყოფოს კარზე** დატოვება იმ შემთხვევაში, როცა აქ ავადმყოფისათვის თავისუფალი ადგილი არ არისო.

◆ როგორც გვატყობინებენ, **კავკასიის გზაზე** კობსა და ჯვარს შუა დიდის თოვლისაგან გზა უკვე გაუწმენდიათ.

◆ ქ-ბ. ელ. მესხიშვილისამ გადმოგვცა დასაბეჭდათ სია იმ პირთა, რომელთა შორის მას შეუგროვებია შემოწირულება ავადმყოფ არტისტის ელ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. შეუწირავთ: სამ-სამი მანეთი—ი. მაჭავარიანს და ბ. ლიზოგუბისას; ორ-ორი მანეთი—ი. ფურაძეს, ნ. ნატროშვილისას და თ. ნათაძეს; თითო მანეთი—ლ. ანანიაშვილისას, ე. თაყაიშვილს, შ. ნაჭყებიას, ს. დომბურისას, ეკ. ასათიანისას, ს. ნატროშვილს, №№-ს, იოსელიანს, ე. ცომაკურიძეს, გ. მაყაშვილს, ი. ნიჟარაძეს, ს. იაშვილს, გ. აგლაძეს, ა. მიქაბერიძეს, ა. ქუთათელაძეს, ნიკოლოზ ბერს, ო. ნასიძისას და გ. თულაშვილს; ათი შაური—თ. მიხაილოვს. სულ 30 მან. 50 კაპ., რომელიც უკვე გარდაეცა ავადმყოფ მსახიობს.

◆ 18 თებერვლისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე თავ. გიორგი ოთარის ძის ამილახვრისა, რომელსაც ჰბრალდება სიტყვით შეურაცხყოფა გორის მაზრის უფროსის თანაშემწის ნაბიბეკოვისა.

◆ გ. ი. მედვინოვის სახელობაზე ხუთი სტიპენდიაა ქალაქის გამგეობაში დაწესებული ტფილისში მცხოვრებ ღარიბ სომეხ-გრიგორიანთა ქალების სამზითვოდ; თითო ქალს 142 მან. და ათი შაური მიეცემა. ქალაქის გამგეობას გ.

---

*) კურსივი ჩვენია.

ფელეტონი

ბურჟუაზიული დემოკრატიზმი.

I

არის ჩვენში ერთი ნაწილი ინტელიგენციისა, რომელმაც ხეირიანად არ იცის, რა არის ბურჟუაზია და, როდესაც ბურჟუაზიაზე დაიწყებს ლაპარაკს, ბევრ უცნაურ აზრს იტყვის ხოლმე. დღეს იმის ცოდნა, თუ რა არის ბურჟუაზია საზოგადოდ და კერძოდ, რომელსამე ქვეყანაში, ისეთ საჭიროებად არის გადაქცეული, როგორც ან-ბან-ის ცოდნა, რადგანაც ეხლანდელი წეს-წყობილება (მეტადრე დას. ევროპაში) ბურჟუაზიული წესწყობილებაა და ყოველ წეს-რიგის კრიტიკა თვით ბურჟუაზიის კრიტიკაა. ჩვენში კი, როგორც მოგახსენეთ, ბევრმა სწორედ არც კი იცის, რა არის ბურჟუაზია. ერთხელ ერთ ამისთანა ინტელიგენტთან მქონდა ლაპარაკი, და აი იმან, სხვათა შორის, რა მითხრა: განა ჩვენისთანა ღარიბ-ღატაკ ხალხს ბურჟუაზიას დაარქმევენო? საზოგადოდ ქართველებში ბურჟუაზია არ არის, რადგანაც ჩვენში მდიდარი კაცი სულ ორიოდე არ მოიპოვება; ესეც რომ არ იყოს, განა მთელი ჩვენი ძალა და ღონე დემოკრატიის საკეთილდღეოდ არ არის მიმართული? დემოკრატიზმი არ არის განა ის, რომ ხალხისთვის საკვირაო სკოლებსა ვმართავთ და წერა-კითხვას ვასწავლით, სახალხო სამკითხველოებს ვაარსებთ და სხვ.?

დიახ, ყველა ეს დემოკრატიზმია, ჩემო გულ-უბრყვილო თანამოსაუბრევ, მაგრამ დემოკრატიზმი სრულიად არ უშლის ხელს იმას, რომ თქვენ ბურჟუა დაგიძახოთ. ჰხართ თუ არა ბურჟუა, ამას მხოლოდ მაშინ გეტყვით, როდესაც ამიხსნით, როგორ უცქერით ხალხს, იმის უფლებებს და რაოდენად იცავთ იმას. ესე იგი, სხვანაირად რომ ვთქვათ, თქვენი დემოკრატიზმი იმაზე კი არ არის დამოკიდებული, ავრცელებთ თუ არა ხალხში განათლებას, არამედ იმაზე, რა აზრისა ჰხართ ხალხზე, რა აზრებს ავრცელებთ იმათში და რა მიგაჩნიათ დაბალ წოდების უფლებად და საჭიროებად. ბურჟუაზია ხალხის განათლების წინააღმდეგი არ არის იმდენად, რამდენადაც ეს ეხლანდელ პირობებში შესასრულებელია და არა იმდენად, რომ იმის გულისათვის ცხოვრების პირობები, ეხლანდელი წეს-რიგი შესცვალოს. ერთის სიტყვით, ეგეთი დემოკრატიზმი, რომელსაც თქვენ ამბობთ, ჩემო თანამესაუბრევ, ბურჟუაზიული დემოკრატიზმია.

— როგორ თუ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი?—გაიკვირვებს ჩემი თანამოსაუბრე: ეს ორი სიტყვა ხომ ერთი მეორის წინააღმდეგი მცნებაა? მაგრამ მომითმინეთ პატარა. ეს ორი სიტყვა რამდენადმე არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. დიახ, არის ბურჟუაზიული დემოკრატიზმი და არის კიდევ სხვა, არა ბურჟუაზიული დემოკრატიზმი. მაგალითად ავხსნათ ეს სიტყვები. ქ. ჟენევაში ერთხელ ორ დამნაშავეს ასამართლებდნენ. დამნაშავენი შენიშნულნი იყვნენ, როგორც მუშების აგიტატორები. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ბრალმდებელმა სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა, ჩვენზე მეტად არავინ არა ჰფიქრობს პროლეტარიატზე, ჩვენისთანად გული მისთვის არავის არ შესტკივა, ჩვენ თვითონ ვართ იმათი პატრონნიო. რასაკვირველია, თქმაც არ უნდა, რომ ეს ბრალმდებელი ბურჟუა ბრძანდებოდა. მაშ, რას ჰნიშნავს იმისი სიტყვა? აი ეს სიტყვები ჰნიშნავს სწორედ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს. მართლაც, ჟენევის ბურჟუაზია არ არის იმისი წინააღმდეგი, რომ რაიმე პოლიტიკური ზომა მიიღოს მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რამოდენადაც ეს არ შეარყევს ეხლანდელის წეს-წყობილების საფუძველს. პირ-იქით, ბევრი ამ ბურჟუათაგანი კაცთმოყვარეობასაც იჩენს: საწყალ ხალხის სასარგებლოდ ათასობით სწირავს, მაგრამ თავის ძირითად ძლიერებას, თავის პროლეტარიატზე უფლებას არ უარ-ჰყოფს. ყველა ფილანტროპიულ მოქმედებას ეს ბურჟუაზია აძლიერებს კიდეც, რომ პროლეტარიატი დაამშვიდოს და გვერდი აუქციოს თავის ძლიერების საფუძველს. აი ბურჟუაზიული დემოკრატიზმი.

ჩემი თანა-მოსაუბრე, სხვათა შორის, იმასაც მეუბნებოდა, რომ ჩვენ წოდებათა და კლასთა შორის ძმობასა და ერთობასა ვქადაგობთ; ჩვენ რწმენას საფუძვლად ვუდებთ ორგანიულ თეორიას, რომლის წარმომადგენელიც დიდებული სპენსერიაო. დიახ, სპენსერი დიდებულია. სპენსერის მოძღვრებაზე რწმენის დაფუძნებაც კაი საქმეა, მაგრამ თვით ეს რწმენა კი „არ ახალია, ძველია“. იგი განმეორებაა. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიაც სწორედ ამასვე ჰქადაქებს. ზემოდ მოყვანილმა ჟენევის სასამართლოს ბრალმდებელმა თავის სიტყვის ბოლოში სთქვა: საზოგადოების ძალა უნდა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის თანხმობაზე დაფუძნდეს; ჩვენ ერთმანეთს მხარი უნდა დავუჭიროთო. რასაკვირველია, ამ კავშირში ბურჟუაზიას უფროს მოკავშირეთა სთვლიან, საზოგადოების „თავს“ ეძახიან.

საზოგადოდ ბურჟუაზიული აზროვნება ორ საფუძველზეა დამყარებული. ერთი ბურჯი არის ეს ორგანიული თეორია და მეორე ინდივიდუალიზმი. ორგანიული თეორია ჰქადაგებს კლასთა სხვა-და-სხვა ფუნქციის შესრულებას, ყოველ კლასს თავის საკუთარ როლს აკუთვნებს ცხოვრებაში და ამასთან მათ შორის თანხმობას ამყარებს; ინდივიდუალიზმი კი ჰქადაგებს პირადობის სრულ თავისუფლებას და პირადობასთან ერთად მრეწველობის და კონკურენციის თავისუფლებას. პირველ სწავლას ბურჟუაზიისას მთელ ახალ ისტორიაში აქვს თავისი ფესვები, თავისი საფუძველი. მეორე კი რაოდენადმე გარკვევით მეთვრამეტე საუკუნეში ჩნდება. ვნახოთ, რა ისტორიულ პირობების გავლენით შეიქმნა ეს ორი ბურჟუაზიული სწავლა.

II

ბურჟუაზიის დაბადება ისტორიულ წყვდიადში იკარგება. სწორედ განმარტება ძნელია, როდის დაიწყო ბურჟუაზიამ არსებობა, რადგანაც ბევრი ჰფიქრობს, რომ ბურჟუაზიის წინაპარნი რომაელთა სახელმწიფოშიაც კი იყვნენო. რაც შეეხება ბურჟუაზიას, როგორც კლასს, იმან თავისი ძალა შედარებით გვიან მოიპოვა. პირველად თავი გამოიჩინა ფეოდალიზმთან ბრძოლაში საშუ-

მედვინოვის ანდერძი დაუბეჭდია და რამდენიმე ცალი სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო კონსისტორიისათვის გაუგზავნია, განკარგულება მოახდინეთ სამღვდელოებამ ერევნში გამოაცხადოს მიცვალებულის ნაანდერძევის პირობებით.

◆ 4 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე კირილე ხაზარაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ხაზარაძე და მიუსაჯავს ყოველისავე განსაკუთრებულ ღირსების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა. პალატამ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი.

◆ ამ სამის დღის წინად სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ნიკოლოზ მაჭავარიანისა, რომელსაც თავის მეუღლის მოკვლა ჰბრალდება. ოლქის სასამართლოს მაჭავარიანი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველსავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3½ წლით გაგზავნა. პალატამ დამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტს შეუკრებია ცნობები, რამდენ საქონელს ეზიდებიან ჩვენი მხრის რკინის გზებით დიდ ქალაქებში,— ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმშიო. ეს ცნობები იმისათვისაა შეკრებილი, რომ შუამდგომლობა უნდათ აღძრან ქალაქებში შემოზიდულ და გაზიდულ საქონელზე ქალაქების სასარგებლოდ ბაჟი დააწესონ.

◆ ხვალ, 8 თებერვალს, სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე თავ. ანტონ დადიანისა, რომელსაც ქალის შეცდენა ჰბრალდება.

◆ როგორც პოლიციის ცნობიდანა სჩას, განვლილ იანვარში ტფილისში მომხდარა შემდეგი ბოროტმოქმედებანი და უბედური შემთხვევანი: ქურდობა 22 (16 დამნაშავე დაუჭერიათ, 6 ვერა) დაჭრა კაცისა—4, მოკვლა—1, თავის მოკვლა—1, მოკვლის განზრახვა—1, ცეცხლის გაჩენა—8 ჯერ და სხვა.

◆ გუშინ, 6 თებერვალს, სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ტფილისის გუბერნიის მცხოვრების მიხეილ ბოლიტაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ციმბირიდან გამოქცევა. ამ დანაშაულობისათვის ოლქის სასამართლოს გარდაუწყვეტია 10 წლით კატორგაში გაგზავნა და 50-ის როზგის დაკვრა. პალატამ ამ საქმის გარჩევა სხვა და სხვა მიზეზისა გამო სხვა დროსათვის გადადვა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის საავადმყოფოში 1902 წელს წოლილა სულ 90 ავადმყოფი, რომელთაგან გარდაცვლილა მხოლოდ 2. გარდაცვლილთაგან ერთი ყოფილა ავად სიფილისით, ხოლო მეორე ჭლექით. ავადმყოფთაგან უმეტესი ნაწილი ყოფილა შეპყრობილი ვენერიულისა და გადამდების სენით. საავადმყოფოს მდგომარეობა წარსულის წლის განმავლობაში ბევრად გაუმჯობესებულა: ოთახებში გამოუცვლიათ ჭერ-იატაკები, შეულესიათ კედლები, ძველის ფეჩების ნაცვლად გაუკეთებიათ ახალი ჰერმეტიული ფეჩები, შეუძენიათ სადოსტაქრო იარაღი და სხვა საჭირო მოწყობილებანი. წინად ექიმს საავადმყოფოში უვლია კვირაში მხოლოდ ორჯელ, ეხლა კი ყოველ დღეს დადის, და სხვა. საავადმყოფოს გამგედ დანიშნულია ექიმი ი. ი. ჩარექოვი.

◆ კვირას, 2 თებერვალს, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დარბაზში ქუთაისის მაზრის წინამძღოლის თავ. დ. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით მოხდა ამ მაზრის თავად-აზნაურთა კრება. განხილულ იქმნა სიები თავად-აზნაურთა, რომელთაც ხმა აქვთ არჩევნებზე, ან მსჯელობის დროს. სიებში შეტანილ იქმნა კიდევ 10-მდე თავად-აზნაური. გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლების არჩევნები დანიშნულია ამ წლის 3 მაისისთვის.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, აპირებს შეუდგეს სანიმუშოდ პუშკინის ქუჩის გრანიტით მოგებას საურთიერთო ნდობის საზოგადოების წინ. ამისთვის იწვევს მსურველთ დაესწრნენ ვაჭრობას 12 თებერვალს. ქუჩაზე უნდა გაკეთდეს ხუთგვარი ნიმუში: ა) სწორის ფორმის გრანიტის კუბიკებით; ბ) არა სწორ ფორმის გრანიტის ქვით (მოზაიკით); გ) რკინაგურით; დ) ბეტონზე მოსხმულ ასფალტით და ე) რიყის ქვით.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

სოხუმი, 5 თებერვალი. დღეს, აქაურ ქართველთა თაოსნობით, სოხუმის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სამეგრელოს მთავრად ნამყოფის უგანათლ. თავადის ნიკოლოზ დავითის ძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

რუსეთის ქრონიკა

◆ მოსკოვში არსდება უმაღლესი საკომერციო კურსები. ჰფიქრობენ, იმათთვის, ვინც სამსახურში არიან, სალამოს კურსებიც დაარსონ.

◆ მდგომარე წლის 13 მაისს მოსკოვში გაიხსნება მეთევზეობის საერთაშორისო გამოფენა. ამ გამოფენაში ევროპის ბევრი სახელმწიფო მიიღებს მონაწილეობას.

◆ ჰფიქრობენ, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს ახალი საგერბო გადასახადი გააწერონ.

◆ გროზნაში ამას წინად თერგის ოლქის ნავთის მრეწველთა კრება მოხდა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კრებას გადაუწყვეტია სრულიად მოსპოს თავისი არსებობა. მიზეზი ის შევიწროება ყოფილა, რომელიც კრებას და იმის საბჭოს ადგილობრივ მთავრობისა და ადმინისტრაციისაგან ადგია. ამ შევიწროების გამო რამდენჯერმე აღძრულ შუამდგომლობას უმაღლესი მთავრობა ყოველთვის უყურადღებოდ სტოვებდა თურმე.

◆ მანჯურიაში რუსეთის ვაჭრობის გასაძლიერებლად აზრადა აქვთ დააარსონ განსაკუთრებული საკომერციო სააგენტოები. სააგენტოები გაიხსნება მუკდენსა, კუანჩენძინსა და ხარბინში.

◆ „ვარშავსკი დნევნიკი“ გადმოგვცემს: „ამას წინად ერთმა კაცმა გაზეთებში გამოაცხადა, რომ საჭიროა ლაქია, ჯამაგირი 15 მანეთი ექმნება თვეში, ჭამა-სმა თავისიო. ამ განცხადების გამო ორის დღის განმავლობაში განცხადების პატრონთან 85 კაცი შევიდა ლაქიის ადგილის სათხოვნელად. ამათ შორის ორი კაცი რკინის გზის მოხელე იყო, ერთი ბუხჰალტერი, 2 ტეხნიკოსი, 3 აგრონომი და სხვანი; უმრავლესობას გიმნაზია ჰქონია გათავებული. მთხოვნელთა მცირე რიცხვს ნამდვილი ლაქიები შეადგენდა“.

◆ სამარაში რკინის გზის ერთ მუშას, გვარად ალექსანდროვს, დიდ-ძალი სამკვიდრო დარჩენია. ამ ცხრა წლის წინად მოსკოვში მოჰკვდა მილიონერი, მაგრამ დღემდე მახლობელი ნათესავი არავინ აღმოჩენილა და ეხლა მთელი იმისი შეძლება, 6 მილიონ მანეთისა, ამ შორეულ ნათესავს დარჩენია.

პრესსა

კარგა ხანია რუსულ პრესსის სალაპარაკოდ გადაიქცა ის ცვლილებანი, რომელთა მოხდენაც მთავრობამ პეტერბურგის თვით-მმართველობაში განიზრახა. აზრადა აქვთ საქალაქო დებულების ზოგიერთი ადგილები შესცვალონ კერძოდ პეტერბურგისათვის. მაგრამ, ვიდრე ამ ცვლილებას მოახდენდა, მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ზინოვიევის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია დანიშნა პეტერბურგის ქალაქის საქმეების სარევიზიოდ და ნაკლულევანებათა გამოსარკვევად. ეხლა-ხან დაიბეჭდა უქვეშევრდომილესი მოხსენება ზინოვიევისა ამ რევიზიის შესახებ.

მოხსენება დიდად საყურადღებოა. უპირველეს ყოვლისა ბ-ნი ზინოვიევი თავისს მოხსენებაში ამბობს, რომ პეტერბურგის ქალაქის საბჭომა და გამგეობამ დაჰკარგეს ის მნიშვნელობა და როლი, რაც მათ უნდა ჰქონდეთ საქალაქო დებულების აზრითაო. ამ დებულების აზრით, გამგეობა საბჭოს დადგენილებათა აღმასრულებელი ორგანოა, პეტერბურგში-კი ამ როლს თვით საბჭო ასრულებს თავისის უთვალავ კომისიებით. ქალაქის საქმეებს აწარმოებენ ეხლა გამგეობის ნაცვლად ეს კომისიები, რომლის წევრებადაც საბჭოს ხმოსნები არიან. ამისთვის ხმოსნებს ჯილდოც-კი ეძლევათ. შედეგად კომისიების მუშაობას მოჰყვა ქალაქის საქმეების დანაწილება: დღეს თვით-მმართველობის საქმეებს პეტერბურგში არავითარი კავშირი და ერთობა არა აქვთ ერთმანეთთან, თვითეული კომისია დამოუკიდებლად და სხვათა უცოდნელად აწარმოებს თავისს საქმეს, რის გამო ქალაქის მეურნეობა იწეწება, ქვეითდება და ფერხდება. ამასვე მოჰყვა უზომო ფორმალიზმი და კანცელიარიზმი. კომისიები უმთავრესად ქაღალდების წერას უნდებიან. საკმაოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამგეობის კანცელარიაში 200 მოსამსახურეა.

შემდეგ ზინოვიევი ეხება ქალაქის მეურნეობის თვითეულ დარგს და ამბობს, რომ მეტად ცუდ მდგომარეობაშია საავადმყოფოს საქმე, სასანიტარო ნაწილი და სასმელ წყლის საქმე. დიდ-ძალი ფული დაახარჯა ქალაქმა ყველა ამას, მაგრამ ცოტად მაინც ვერცერთი ვერ მოაწყოო. ბ-ნ ზინოვიევის სიტყვით, პეტერბურგის თვით-მმართველობა ხეირიანად აწარმოებს ერთად-ერთ დარგს— სწავლა-განათლების საქმეს.

ზინოვიევი მრავალ სხვა ნაკლულევანებასაც აღნიშნავს და დასასრულ ამბობს: ყველა ეს ნაკლულევანება შედეგია თვით-მმართველობის პრინციპებისა კი არა, არამედ იმისა, რომ პეტერბურგის საბჭომა და გამგეობამ გადაუხვიეს ამ პრინციპების მოთხოვნილებას. ქალაქის დებულება აქ არაფერს შუაშია. საყურადღებოა ზინოვიევის ის აზრიც, რომ ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ მცირე ნაწილი შეძლებულთა, ის დიდი ნაწილი მცხოვრებთა-კი, რომელიც უფრო დაინტერესებულია ქალაქის საქმეებში, სრულიად განზეა დატოვებული. რამოდენადმე, მომხსენებლის აზრით, ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი ქალაქის საქმეების დაქვეითებას.

* *

„იუჟნი ზაპ.ს.“-ს დიდად საყურადღებოდ მიაჩნდა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა კომიტეტის მუშაობა. ამ კომიტეტებმა ბევრი რამ გამოარკვიეს, ბევრი რამ გამოაშკარავეს ისეთი, რაც წინად არა თქმულა და რაც თქმაც არ შეიძლებოდაო.

კომიტეტებს თავიანთი აზრი სასოფლო მეურნეობის მრეწველობის საჭიროებათა შესახებ უნდა გამოეთქვათ, მაგრამ ისინი არ დასჯერდნენ ამ მცირე ფარგალს და შეეხნენ დღევანდელ საჭირბოროტო საგნებს: სახელმწიფოს საეკონომიო პოლიტიკას, საფინანსო სისტემას, საყოველთაო

ალო საუკუნოების მეორე ნახევარს. რამდენადმე შეიძლება კაცმა ხაზი გაავლოს ბურჟუაზიის თან-და-თანობით განვითარებას ისტორიკოსების გამოკვლევათა მეოხებით. როდესაც რომის იმპერია დაეცა და როდესაც რომაელები გერმანელებს შორის აირივნენ, როდესაც ამ არევ-დარევის შემდეგ ახალი ცხოვრება წარმოიშვა და დამყარდა (მე-4 საუკუნიდან დაწყებული), მაშინ ბურჟუაზია (მომავალი) უკვე ჩასახული იყო. მართალია, მაშინ იმას ჯერ საკუთარი განსხვავებული ინტერესი ჰქონდა, მაგრამ სხვებისაგან უკვე გაირჩეოდა.

მაგრამ როგორ მოჰხდა ყველა ეს, რა ელემენტების შეერთებამ შეჰქმნა ეს ახალი ცხოვრება? ერთი ჯგუფი ელემენტებისა იყო რომაელთა წეს წყობილება. რომის იმპერიის არსებობის უკანასკნელ ხანებში, გარდა პატრიციებისა, რამდენიმე დაბალი კლასი არსებობდა. პირველი ადგილი ამ დაბალ კლასთა შორის ეჭირათ განთავისუფლებულ მონებს, რომელთაც ვაჭრობის ნება ჰქონდათ და ეტანებოდნენ კიდეც ამ ხელობას. ამათ მოჰსდევდა ნახევრად დამონებული კლასი. ესენი პატრიციების მამულზე ცხოვრობდნენ და იმათ მიწას მუშაობდნენ. ისინი პირადად თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ მიწით სარგებლობის სამაგიეროდ ბევრ მონურ მოვალეობას ასრულებდნენ. მესამე და უკანასკნელი (ყველაზე უმრავლესი) კლასი იყო მონათა კლასი. ეს კლასი ორ ნაწილად იყოფებოდა. ერთი ნაწილი ქალაქში ცხოვრობდა პატრიცის სასახლეში (familia urbana), მეორე ნაწილი სოფელში და თავის ბატონის მიწას მუშაობდა იმისავე სასარგებლოდ (familia rustica). როგორც პირველნი, ისე მეორენი თავიანთ თანამდებობის და-გვარად სხვა-და-სხვა ნაწილად იყოფებოდნენ. როგორც სოფლის მონებს შორის იყვნენ: მეცხვარენი, მხვნელ-მთესველნი, მებაღენი და სხვანი, ისე ქალაქის მონებს შორის: ხელზე მოსამსახურენი, ხელოსანნი, პედაგოგნი, ექიმები, ფილოსოფოსნი და სხვანი. ამ უკანასკნელთ რომაელები საბერძნეთში ჰყიდულობდნენ. მეორეს მხრივ გერმანიაში ამავე დროს, როგორც ტაციტუსი ჰმოწმობს, გარდა უმაღლესის კლასისა, თავადებისა (contos), იყვნენ კოლონები. ესენი იყვნენ მიწის მუშები. მიწას იჯარით იღებდნენ თავადებისაგან. იყვნენ გერმანიაში ამ დროს მონებიც, მაგრამ მონებსა და კოლონებს შორის ფაქტიურად განსხვავება არა იყო-რა. თავადი ბევრჯელ თავის მონასაც ასახლებდა ხოლმე თავის მამულზე ისე, როგორც კოლონს, რადგან ხშირი ომები მონებს ამრავლებდნენ და შეუმუშავებელი მიწა კი ბევრი იყო. ბევრჯელ მონები თავის ბატონებთან და ბატონის შვილებთან ერთად მუშაობდნენ.

ასე იყვნენ დაყოფილნი რომაელნი და გერმანელნი, როდესაც ისინი შეერთდნენ, რომ ახალი ცხოვრება წარმოეშვათ. ამასთან უნდა დავიხსომოთ, რომ რომაელი პატრიციები ისევ ქალაქებში დარჩნენ, გერმანელმა თავადებმა კი სოფელი არჩიეს. ამ გვარად ორის ხალხის უმაღლესი კლასსი უფლებებით შეერთდა, მხოლოდ ტერიტორიით გაიყო. ამათ ორივეს ჰყავდათ რამდენიმე რიცხვი ყმებისა, რომელნიც შემდეგ ერთ მრავალ რიცხოვან კლასად გადაიქცნენ: უწინდელმა მონებმა ქრისტიანობისა და ეკონომიურ საჭიროების გავლენის ქვეშ თავისუფლება მიიღეს. თავისუფალი მესაკუთრენი კი დამოუკიდებელ კლასად გადაიქცნენ, რადგან ერთის მხრით, წვრილმა საკუთრებამ ვერ იბოგინა მსხვილ საკუთრებასთან ერთად და მეორეს მხრივ—თვით წვრილი მესაკუთრეც ვერ ბოგინობდა მაშინდელ ფეოდალურ საზოგადოებას მოშორებული. ამ დაბალ კლასში საზოგადოდ გარჩევა თითქმის არაფერი იყო იმის მეტი, რომ ზოგნი იმათგანნი შინაყმანი იყვნენ და ზოგნი კი მიწის მუშები. ამ გვარივე ნიველიროვკა მოხდა ქალაქშიაც. ამასთან ერთად ქალაქის ცხოვრებაც მიყრუვდა, მიდუნდა. ცენტრი სოფელში გადავიდა და ბევრი ქალაქელი ბატონი სოფელში გადასახლდა გერმანელ თავადების მიბაძვით. ამგვარად მიყრუვდა ქალაქი და ფეოდალის ხელში ჩავარდა.

გარდა ამისა კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. რომის აბსოლუტიზმი დაეცა. პატრიციები რომში მხოლოდ მესაკუთრენი იყვნენ, როგორც თვითონ იმათ, ისე მოიჯარადრე გლეხებს უნდა რაიმე ხარჯი ეძლიათ სახელმწიფოსთვის, ისე რომ სახელმწიფო პატრიციების შინაგან ცხოვრებაში ერეოდა. დროთა ვითარებით პატრიციებმა მოიპოვეს ნება, რომ ხარჯი თვითონ ეკრიფათ იჯარადარ გლეხებისაგან და თვითონ ეძლიათ სახელმწიფოსათვის. სახელმწიფო ამაზე მით უმეტეს სიხარულით დასთანხმდა, რომ იმას სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა. შემდეგ სახელმწიფოს ცენტრი იქამდის დაუძლურდა, რომ მემამულენი ხარჯს თავიანთ სასარგებლოდ ჰკრეფდნენ და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი გახდნენ. ეს დეცენტრალიზაცია გერმანიაში თავდაპირველადვე არსებობდა. ასეთივე დამოუკიდებელი ძალა მოიპოვეს სახელმწიფოს მოხელეებმა, რომელთაც სამსახურისთვის მიწა მიიღეს, ისე, როგორც ეხლა ფულს იღებენ სახელმწიფოს მოხელენი ჯამაგირად. სწორედ ასევე განცალკევდა ქალაქიც. ამიტომ ვაჭრობა შესწყდა და ის ხელოსნები, რომელნიც ქალაქებში მუშაობდნენ, მხოლოდ თავიანთ მფლობელისათვის მუშაობდნენ.

რაღა თქმა უნდა, ამ გაფეოდალებულ ქალაქებში დავიწყებას მიეცა წინანდელი მუნიციპალური ცხოვრება და მოქალაქეებმაც სრულიად დაჰკარგეს წინანდელი თავისუფლება. თუ რომ ვაჭრობა იყო მაშინ, ანუ უკედ ვთქვათ, ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა, თვით ამ ვაჭრებს ამის უფლების მოსაპოვებლად ათასნაირი ხარჯი უნდა ეძლიათ ფეოდალისთვის. სხვათა შორის, ესეც ხელს უწყობდა აღებ-მიცემობის შეწყვეტას. ერთის სიტყვით, როგორც უკვე ვსთქვით, ძველი მოქალაქე ეხლა ფეოდალის მსახური გახდა. ასევე მოხდა იმ კომმუნებში, რომელიც საფრანგეთსა და გერმანიაში დაარსდნენ საშუალო საუკუნოების განმავლობაში. აი, სწორედ ამ კომუნების და ქალაქის მცხოვრებნი შეადგენდნენ იმ ბურჟუაზიას, რომელმაც ფეოდალიზმს ბრძოლა აუტეხა დამოუკიდებლობისათვის.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერობის შემოღებას, საერობო დაწესებულებათა გაძლიერებას, წოდებათა გათანასწორებას, საყოველთაო სწავლის შემოღებას და მრავალ სხვას. უმაღლესად ნაბოძებმა თავისუფლებამ დღემდე მდუმარედ მყოფი ხალხი აალაპარაკა და ათქმევინა ყოველივე ის, რაც აქამდე ლოდივით აწვა გულზე, რის საჭიროებასაც იგი დიდი ხანია ჰგრძნობს. საოცარია ერთ-სულობა და ერთ-აზრობა. ყველანი ერთ ნაირად ჰგრძნობენ, რომ დღევანდელი წესი უნდა შეიცვალოს და ცხოვრება განახლდეს და გაუმჯობესდეს“...

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ახლად არჩეულ ხმოსანთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მუყაითად დაიარებიან კრებებზე. თუმცა კვირაში ორჯელ იმართება კრება, ხმოსნები მაინც მრავლად ესწრებიან. მაგრამ უბედურება ის არის, რომ დაუსრულებელი დაშარკვი იციან და საქმეების გადაწყვეტა გვიანდება. 5 თებერვლის კრებას დაესწრო თითქმის 50 ხმოსანამდე. ეს სხდომა საბჭომ მთლიანად მოანდომა კომისიის მიერ შემუშავებულ მოხსენების განხილვას ქუჩების მოკირწყვლის შესახებ. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ქალაქს ამისათვის აქვს 600 ათასი მანეთი. კომისიის აზრით, ეს ფული არ ეყოფა ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად. კომისიამ ვრცელი მოხსენება შეადგინა, სადაც თავის მიერ შედგენილი ქუჩების მოკირწყვლის შესახები სავალდებულო დადგენილებანიც მოაქცია.

როგორც მოხსენებაში სწერია, ქალაქის შუაგულში მდებარე ქუჩები უნდა მოიკირწყლოს საუკეთესო სისტემით, ხოლო განაპირა ადგილების ქუჩები—რიყის ქვით. მთელი მასალა ქუჩების მოკირწყვლის შესახებ 2 იანვარს განიხილა შეერთებულმა სხდომამ ქალაქის გამგეობისა და კომისიისამ და დაადგინა, ქალაქის ქუჩების რიყის ქვით მოკირწყვლის ვადად დაინიშნოს 4 წელიწადი, ხოლო საუკეთესო სისტემით მოკირწყვლისა—3. სავალდებულო დადგენილებათა პროექტი შეერთებულ სხდომას მცირეოდენის ცვლილებით მიუღია.

როგორც ორშაბათს, ისე ოთხშაბათის კრებაზე მოხსენებამ ხმოსანთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. რასაკვირველია, აღმოჩნდნენ მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. ზოგის აზრით ეს საქმე იმდენად რთულია, რომ საბჭოს კრებაზე იმის ყოველ-მხრივ გამოკვლევა და აწონ-დაწონა შეუძლებელია, ამიტომ ზოგიერთ საკითხების ხელ-მეორედ გადასინჯვა უნდა მიენდოს კომისიასაო. ზოგმა ხმოსნებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ქალაქის განაპირა ქუჩები უნდა მოკირწყლდეს, რისთვისაც უნდა გადაიდოს 400 ათასი მანეთი და სხვ. ბოლოს, ხანგრძლივ კამათის შემდეგ, კრების თავმჯდომარემ თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილმა საკითხი სათანადო მხარე გამორკვეულად სცნო, მაგრამ ხმოსანთა უმრავლესობამ განაცხადა, საქმე ჯერ არ არის გამორკვეული და საჭიროა შემდეგის კრებისათვის გადავდვათო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და შეუდგა სხვა-და-სხვა კომისიის წევრთა არჩევას. სასწავლებელთა კომისიის არჩევანი, ხმ. ევანგულოვის წინადადებით, საბჭომ სხვა დროისათვის გადასდო. გამსესხებელ კასების სარევიზიო კომისიის წევრებად აარჩიეს: ი. ა. სულხანოვი, დ. თ. ტიგრანოვი, თავ. დ. ნ. თუმანოვი; ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომის აღმშენებელ კომისიის წევრებად ა. ს. ბაბოვი, ა. მ. ლენჩევსკი, ი. ა. თაიროვი, ი. თ. ტიგრანოვი, ნ. მ. ჰკრიქუროვი და ა. დ. სურენიანცი; დასათვასებელ ოქმების შემსწორებელ კომისიის წევრებად: ბ-ნნი კოჩნარიანცი და შადინოვი; ქალაქის წლის ტარიფის გადამთვალიერებელ კომისიის წევრებად: ა. ი. ხატისოვი, კარაკოზოვი, ბ. მ. ლოლუხანოვი, დ. თ. ტიგრანოვი, გ. ა. სარაჯიშვილი და მ. ი. სვენნიკოვი.

ამით დასრულდა კრება.

წერილი ძველ-სენაკიდან

სამეგრელოს უგანათლებულეს თავადის
ნიკოლოზის გვამის მოსვენება

გაიგეს თუ არა ძველ-სენაკელებმა უფლისწულ მთავრის ნიკოლოზის გადაცვალება, მაშინვე შეუდგნენ თადარიგს მისის გვამის დასახვედრად. 27 იანვარს სენაკელებმა პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც დაესწრნენ, საზოგადოების გარდა, სენაკის სათავად-აზნაურო სკოლისა, სამეგრელოსა და სასოფლო ორ-კლასიან სკოლის მოსწავლენი და მასწავლებელნი. ხმა გავრცელდა, თავად ნიკოლოზის ცხედარს სადგურ აბაშით მოასვენებენ სოფელ მარტვილშიო. ამიტომ საზოგადოებამ ითხოვა და მარშრუტი შეაცვლევინა: უფლისწულ მთავრის ცხედარი ახალ-სენაკიდან ძველ-სენაკით და ნოქალაქევით უნდა წაესვენათ მარტვილს. „უფლისწულ მთავარს“ იმიტომ ვამბობ, რომ სამეგრელოს მთავრის დავითის გადაცვალების (1853 წლის) შემდეგ თავ. ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი, თავ. მანგრელსკად მერე მონათლული, მთავრად ითვლებოდა 1867 წლამდის, თუმცა მცირე წლოვანობის გამო იმას ფაქტიურად არასოდეს არ უმთავრნია და იმის მაგიერ სამეგრელოს ერთხანს ჰმართავდა დედა მისი ეკატერინე, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული; მერე კი—დროებითი მმართველობა. მიუხედავად ცუდის დარებისა, საყდრის წინ სათავად-აზნაურო სკოლის კარებთან ააშენეს პავილიონი, ერთიან მწვანით ნაშენი. პავილიონს თავზე ედგა ყვავილების გვირგვინი, ქვევით შუა ადგილასაც ეკიდა გვირგვინი. ბოძებ-და-ბოძებ შუა იყო დაფნისა, ტუისა და სხვა ყვავილის ხვეულები. დასავლეთით პავილიონზე მოჭედილ შავ ფიცარზე ოქროს ასოებით რუსულად ეწერა: С. К. Н. Д. М., ქართულად კი: „უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი ნიკოლოზ, მთავრის დავითის ძე დადიანი“.

დაბა ძველი-სენაკი შავებში იყო შემოსილი: ყოველ სახლის, თუ დუქნის წინ აფრიალებული იყო შავი ბაირაღი ნიშნად მგლოვიარობისა. საყდრის (უფლისწული სასახლის კარის ეკლესია) გალავანს შავი ბაირაღები შემოარტყეს. თავად-აზნაურობა, მოქალაქენი და დროებით მცხოვრებნი შავებით შეიმოსნენ. სამს თებერვალს, დილის ათ საათზე, ხალხი დაერაზმა პავილიონთან. პავილიონის ქვეშ მარჯვნივ სათავად აზნაურო სკოლის მგალობელთა გუნდი დადგა. მარცხნივ—სამრევლო საქალებო სკოლის მოსწავლენი. პავილიონის აღმოსავლეთით ადგილი ქალებს ეჭირათ. ქვევით, შოსის მარჯვენა ნაპირზე, სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლენი იდგნენ, მარცხნივ—სამონასტრო სკოლისა. ბავშვებს უკან იდგა დიდ-ძალი საზოგადოება. უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: პოლიციამ გამოაცხადა, რომ ოლქის მზრუნველმა ნება დართო იმ სკოლებს მიეღოთ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა, რომელთ წინაშე თავადს რაიმე ამაგი მიუძღვის. შუა ადგილი დაეჭირა დიდ-ძალ სამღვდელოებას, შემოსილს და ხატებით ხელში. აქვე გარეშე მაყურებლის ყურადღებას იქცევდა რვა არშინიანი ძველებური კანდელჯარი. რჩეული ცხენოსნები წინ და-წინ მისაგებებლად წავიდნენ.

სრულს 12 საათზე გამოჩნდა სამგლოვიარო პროცესია. წინ მიუძღოდა განსვენებულის შვილი თავადი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე; იმას ბალდახინი მისდევდა განსვენებულის ცხედრით. ბალდახინი პავილიონის ქვეშ შეჩერდა. როცა ჩვეულებრივი ტირილი და სამძიმარი გათავდა—სამძიმარს იღებდნენ შვილი და პრინცესა სალომე მიურატისა—ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის გამგემ წითლიძემ გვირგვინით შეამკო კუბო და სიტყვა წარმოსთქვა; მერე გვირგვინითვე შეამკეს კუბო სამონასტრო და სამრევლო სკოლებმა; იმათ შემდეგ კი ძველის სენაკის თავად-აზნაურთ; მოქალაქეთა და მცხოვრებთა გვირგვინი დაადეს ცხედარს და სიტყვა წარმოსთქვა აზ. გიორგი გამსახურდიამ. მერე პროცესია დაიძრა. კაი მანძილზე გააცილა თავადის ნეშთი ძველ-სენაკის საზოგადოებამ და სამღვდელოებამ. გამოთხოვების დროს განსვენებულის შვილმა უთხრა სააზნაურო სკოლის უფროსს: „მოკლე დროში ვეცდები სამშობლო ენაზედაც გადავიხადოთ მადლობაო“. ეგევე გაუმეორა საზოგადოებას. აქვე არ შემიძლიან არ მოვიხსენიო განსვენებულის შეწირულება: ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლას შესწირა ის ადგილი (ოთხ-ქცევაზე მეტია), სადაც სკოლაა, და სამი ათასი მანეთი ფულად; აგრეთვე აქაურ სამონასტრო სკოლას ორ-ქცევამდე მიწა.

ჭამუთ-შვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

გროდნო. დამ-დამობით ეკლესიებს გაქურდვა გახშირდა. გუბერნატორმა ბრძანება გასცა დარაჯების რიცხვს მოუმატეთო.

ტანჟერი. „მორნინგ პოსტ“-ი იუწყება: მაროკოს სულთანი აჯანყებულთა დამორჩილებას აგვიანებს, ამის გამო ტახტის მაძიებელი მომხრეებს ჰმატულობს და ამით ძალას იკრებსო.

კაპშტადტი. ჩემბერლენი ჩამოვიდა.

ვენა. „ნეიე ფრაიე პრეს“ იუწყება: ავსტრო-რუსეთის ნოტა რეფორმების შესახებ აცნობეს ბერლინისა, ლონდონისა, პარიზისა და რომის კაბინეტებს, ხუთშაბათს კი პორტას წარუდგენენ.

სოფია. საერო კრებაში სამინისტროს შეკითხნენ მაკედონელთა კომიტეტების დახურვის შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა გამოაცხადა: ეს საშუალება იმიტომ ვიხმარეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესი დაგვეცვა. ჩვენი სამთავრო მაკედონელთა მოძრაობის ბუდე არ უნდა იქმნეს. ბოლგარია მცირე სახელმწიფოა და მაკედონელთა საქმეს გადაწყვეტა იმისგან არ არის დამოკიდებული. მშვიდობიანობისათვის საშიშ მდგომარეობის აცდენად მეზობელ სახელმწიფოში ბოლგარიამ ისეთი მდგომარეობა უნდა დაიჭიროს, უფლება ჰქონდეს მოითხოვოს ევროპის სახელმწიფოთაგან ამ მშვიდობიანობის დასაცველად საშუალებათა ხმარება და უნდა შევეცადნეთ იმ გზას დავადგეთ, თვითონ ევროპის სახელმწიფოთ იკისრონ მაკედონიის საქმეთა გადაწყვეტა. ბოლგარიას განზრახვა არ აქვს მაკედონიას ადგილები ჩამოჰჭრას და ბედნიერად ჩასთვლის თავისს თავს, თუ ამ მხარეს წესიერება დამყარდება და თანამემამულეთა პირობები დაცული იქნება. რადგან სახელმწიფოები იმის ცდაში არიან, რეფორმები შემოიღონ, უბრალო პოლიტიკური წინდახედულობა და ზრდილობიანობა მოითხოვს მშვიდობიანობა დაიცვას. ბოლგარია უნდა კანონიერად შეეცადოს მაკედონელები ამ გზას დაადგნეს და შეაკავოს იმ აზრით გატაცებისაგან, ვითომ ბოლგარიას შეუძლია იმათ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება; ამიტომ ჩვენ ბოლომდე ვეცდებით ჩვენი მოვალეობა ავასრულოთ. ვისაც მაკედონელებზე გავლენა აქვთ, დააჯერონ ისინი, რომ ამ ჟამად ისეთი მდგომარეობაა, სიმშვიდეა იმათთვის საჭირო; თავისის თავ-დაჭერილობით ხელი შეუწყონ ევროპის სახელმწიფოებს განზრახულ რეფორმების შემოღებაში. ბოლგარელთა უმაღლესი ინტერესები გვავალებენ, ყველგან და ყოველს ადგილს მშვიდობიანობა იქმნას დაცული.

არიოლი. საგუბერნიო კომიტეტმა დაადგინა: პირველ დაწყებითი სწავლება სავალდებულოდ დაედება სამეურნეო ცოდნათა სურვილს და აღნიშნა იმ გადასახადთა სიმძიმე, რომელიც მიწის მუშათ თავს აწევს, ამიტომ ვითხოვთ ნადელების გამოსასყიდის გადასახადთა პატიება, გადასახადების შემცირება, საფაბრიკო-საქარხნოსა და სამიწათმოქმედო მრეწველობის შუა საშუალებათა საუკეთესოდ განაწილება.

ვაშინგტონი. გეამ და ბოუენმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს, რომლითაც კარაკასში კომისია უნდა დაარსდეს ვენეცუელისა და ამერიკის წარმომადგენლებისაგან შეერთებულ შტატებს და ვენეცუელას შუა სადავო საქმეთა გადასაწყვეტად. კომისიის წევრნი თუ ვერ შეთანხმდნენ, ნიდერლანდიის დედოფალს შეეხვეწებიან სამედიატორო სამართლის დანიშნას. დედოფალმა ამის თანხმობა გამოაცხადა.

ლონდონი. ლორდთა პალატაში სპენსერმა გამოაცხადა: სეფე-სიტყვაში რომ რუსეთსა და ჩინეთზე არაფერია ნათქვამი, ეს იმის მომასწავებელია, გარეშე საქმეთა სამინისტროს ალბად კარგი ცნობები აქვს ინგლისის იმ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესახებ, რომელთაც შორეულ-აღმოსავლეთის საქმეებში ინტერესი აქვთ.

პეტერბურგი. 4 თებერვალს მეფის ბალი იყო საზამთრო სასახლეში.

5 თებერვალს ისაკის ტაძარში მაცხოვრის ხატს ააცალეს 75 ათას მანეთად ღირებული ბრილიანტები.

მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ საფრანგეთის მხატვართა გამოფენა დაათვალიერეს.

5 თებერვალი.

პეტერბურგი. „სამხედრო საზღვაო სასამართლოში გაირჩა საქმე; დამნაშავედ ცნობილი ამ საქმეში ავრცელებს წერილს, რომლით ამტკიცებს, ვითომ საქმის გარჩევის დროს კანონი და წესი დაარღვიეს. მე პირადად დავრწმუნდი, რომ სრულიად უსაფუძვლოა ბრალდება, რომელსაც წერილის დამწერი თავზე ახვევს ხსენებულ სასამართლოს წევრთ და ამიტომ საჭიროდ ვრაცხ მოვიწონო მათი წესიერი და კანონიერი მოქმედება იმ საქმეში. გენერალ-ადმირალი ალექსი“.

კონსტანტინეპოლი. საფრანგეთის ელჩს მთავრობა ავალებს ენერგიულად მხარი დაუჭიროს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის წარმომადგენელთ მაკედონიაში რეფორმების მოხდენის შესახებ მოლაპარაკებაში.

ბერლინი. გერმანიის მთავრობამ დაავალა თავის ელჩს კონსტანტინეპოლში ხელი შეუწყოს მაკედონიაში იმ რეფორმის განხორციელებას, რომელნიც ავსტრო-ჰუნგრეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს.

ვაშინგტონი. ამერიკამ მიიღო წინადადება პანამის არხის საზოგადოებისა, რომ შეიძინს უფლებას არხზე და საზოგადოების ქონებას 40 მილიონ დოლარად.

კონსტანტინეპოლი. სახელმწიფო ვალების სამმართველოს საადმინისტრაციო საბჭო ამტკიცებს, რომ ნახევარ წლის %-ის რაოდენობას უნდა ნიშნავდეს საბჭო წმინდა შემოსავლის რაოდენობის მიხედვით. საბჭო მზადაა ეს საქმე სამედიატორო სასამართლოს გადასცეს გასარჩევად, მაგრამ იმის წინააღმდეგია, რომ ოსმალეთი სარგებლობდეს სამედიატორო სამართალით საქმის გაჭიანურებისათვის.

„კონსტანტინეპოლის სააგენტო“ ისევ აცხადებს, ლონდონისა და პარიზის გაზეთების ცნობა ოსმალეთის ჯარის მობილიზაციის შესახებ ტყუილი არისო.

ბერლინი. „რაიხს ანცაიგერ“-ში დაბეჭდილია, რომ გენერალ-ადიუტანტს თავ. დოლგორუკოვს ებოძა წითელ არწივის 1-ლ ხარისხის ორდენის ბრილიანტის ნიშნები, ხოლო ფლიგელ-ადიუტანტს გრაფ შუვალოვს—გვირგვინის ორდენი მე-2 ხარისხისა.

პარიზი. საფრანგეთის ჯარს შეტაკება მოუხდა ტუარეგებთან; უკანასკნელნი დამარცხდნენ.

კალკუტა. მაიორი მაკ-მაჰონი და სპარსეთ-ავღანის საზღვრის კომისიის წევრნი 31 იანვარს შეხვდნენ ხილმენდთან ავღანის წარმომადგენელთ.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან** 15 **მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 8 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ.)11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

«მოგზაური»-ს რედაქციაში

და ყველა წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი

ახალი წიგნები:

1) **პურის ბოსტანი.** ეს წიგნი საჭიროა ყველა მეოჯახისა და სკოლისათვის, რადგან ასწავლის დიდ-ძალ პურის მოყვანას ბოსტანში ანუ პატარა ადგილზე, ფასი 7 კაპ.

2) **შინაური ფრინველების:** ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების გონიერად მოვლა და მოშენება, სურათებით. ეს წიგნი განსაკუთრებით საჭიროა სოფლელ ქალთათვის, დამოუკიდებელი თანხის შესადგენად, ფასი 15 კაპ.

3) როგორ არჩენენ ადამიანებს დანით? ბუასილის **ჟუჟა-წამალი** და ციებ-ცხელებისა **რმე-არბუ**, ფასი 5 კაპ.

4) 1903 წლის კედლის ერთიანი კალენდარი, ფასი 5 კ. და სხვა

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გასაგზავნს არ იხდის.

ადრესი დაბარებისა: Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“. (3—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 6 Февраля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)